ევროკავშირი
საქართველოსთვის
ENPARD

Shaping the Future by Changing Today

რაზომ თბოიზოლაცია?

2021 წელს CENN-მა ევროკავშირის (EU) დაფინანსებით და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით დაიწყო ახალი ინიციატივის - ენერგოფექტურობისა და განახლებადი ენერგიის ტექნოლოგიების შესახებ კომუნიკაციისა და ცნობიერების ამაღლების კამპანიის განხორციელება საქართველოს შემდეგ მუნიციპალიტეტებში: ხულო, ქედა, ახალქალაქი, ბორჯომი, ყაზბეგი, თეთრიწყარო, დედოფლისწყარო და ლაგოდეხი.

კამპანიის მიზანია თერმული ენერგოეფექტური და განახლებადი ენერგიის ტექნოლოგიების გაყიდვების გაზრდა სამიზნე 8 მუნიციპალიტეტში ცნობიერების ამაღლებისა და სარეკლამო ღონისძიებების განხორციელების გზით.

პროექტი მიზნად ისახავს, სოფლად ენერგოეფექტურობის და განახლებადი ენერგიის ტექნოლოგიების დანერგვას, რაც, ძირითადად სარგებელს მოუტანს 8 სამიზნე მუნიციპალიტეტსა და, ზოგადად, საქართველოს რეგიონებს ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის მიმართულებით.

პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია CENN და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის შეხედულებებს.

შენობის ენერგიის უდიდესი დანახარჯი გათბობასა და გაგრილებაზე მოდის. კერძოდ, მთლიან ენერგომოხმარებაში გათბობა-გაგრილების წილი ორი მესამედია. სხვადასხვა მასალით დათბუნება კი, ამ ხარჯებს საგრძნობლად ამცირებს.

თბოიზოლაცია ენერგომოხმარების შემცირების ერთ-ერთ საუკეთესო მეთოდს წარმოადგენს. დათბუნების გამოყენებით, შენობის გათბობისა და გაგრილების საჭიროების 60-70%-ით შემცირებაა შესაძლებელი.

თბოდანაკარგი



დათბუნების შედეგად მიღებული სარგებელი

შემცირებული ენერგო დანახარჯები

კარგად დათბუნებული შენობა მნიშვნელოვნად დაგიზოგავთ ენერგიაზე გაწეულ ხარჯს. სახლის თბოიზოლაცია წარმოადგენს კომუნალური გადასახადების შემცირების ყველაზე ეფექტიან მეთოდს.

კლიმატის ცვლილებაზე ზემოქმედება

კარგად დათბუნებული შენობა უზრუნველყოფს ნაკლებ თბოდანაკარგებს ატმოსფეროში. დათბუნების შედეგად შენობის გასათბობად საჭიროა ნაკლები ენერგია, რაც ასევე დადებითად აისახება გარემოზე.

გაუმჯობესებული კომფორტი

კარგად დათბუნებული შენობა ტემპერატურის სასურველი ნიშნულის უფრო მარტივად მიღწევის შესაძლებლობას უზრუნველყოფს, რაც მეტ კომფორტს ნიშნავს, როგორც ზამთარში, ისე ზაფხულში.

შემცირებული კონდენსაცია

ბევრი შენობისათვის კონდენსატი წარმოადგენს რეალურ პრობლემას, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში. დათბუნება დაგეხმარებათ შენობაში ტენიანობის დონის შემცირებაში, რაც შესაბამისად შეაჩერებს კონდენსატის წარმოქმნის პროცესს.

ქონების გაზრდილი ღირებულება

დაუთბუნებელი ან ცუდად დათბუნებული შენობის სარეალიზაციო ღირებულება უფრო დაბალია ვიდრე კარგად დათბუნებული შენობისა. აქედან გამომდინარე თბოიზოლაცია წარმოადგენს კარგ ინვესტიციას.

გაუმჯობესებული ხმის იზოლაცია

თბოიზოლაცია, ასევე, შენობის ხმის იზოლაციის გაუმჯობესებას უზრუნველყოფს, ხმაურის შეჩერების გზით, შენობის შიგნიდან გარეთ და გარედან - შენობაში.

ქვაბამბით კედლის, სხვენისა და სახურავის თბოიზოლაცია

ქვაბამბა წარმოადგენს ბაზალტის ბოჭკოვან მასალას, რომელიც ბაზალტის ქვის გადამუშავებით მიიღება. ქვაბამბის მისაღებად ბაზალტის დაქუცმაცება და 1000°C-მდე გახურებაა საჭირო. ასეთ პირობებში, ბაზალტის ბუნებრივი ელემენტი დნება და ბლანტ მასად იქცევა.





A
B
C
D
E
F
G

ქვაბამბის რამდენიმე მთავარი უპირატესობა:

- ერთ-ერთი ყველაზე დაბალი თბოგამტარობის კოეფიციენტი;
- ეკოლოგიურად სუფთაა და გახურების შემთხვევაშიც კი, არ გამოყოფს მავნე ნივთიერებებს;
- საუკეთესოა ხმის იზოლაციისთვისაც;
- ქვაბამბა, ფაქტობრივად, არ იწვის;
- ვერანაირი სიმძლავრის მექანიკური დატვირთვა ვერ ახდენს მის დეფორმირებასა და მახასიათებლების შეცვლას;
- არ იცვლის ფორმასა და სტრუქტურას, ტემპერატურის ცვლილების მიუხედავად, ამიტომ ქვაბამბა გამოიყენება ისეთ ობიექტებზე, სადაც ზედაპირის ტემპერატურა შეიძლება იყოს -200 °-დან +600 °-მდე.
- ქვაბამბას აქვს ბიოლოგიური და ქიმიური მდგრადობა მაშინაც კი, თუ მასთან კონტაქტში ლითონის საგნებია. შესაბამისად, მას არ ახასიათებს კოროზია.
- მარტივია მისი დამუშავება: დაჭრა, ფორმის მიცემა, გადაღუნვა და ა.შ, რაც სამონტაჟო სამუშაოებს მნიშვნელოვნად ამარტივებს.
- ქვაბამბას გრძელვადიანი გამძლეობა ახასიათებს. სწორი ინსტალაციის პირობებში, მას მუშაობის, პრაქტიკულად, შეუზღუდავი ვადა აქვს;
- ქვაბამბის შეძენა შესაძლებელია ფილებისა და რულონების სახით, რომლებიც საჭირო ზომაზე ადვილად იჭრება. ასევე, მარტივია მისი ფიქსაცია.

მიუხედავად იმისა, რომ ქვაბამბა ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული დასათბუნებელი მასალაა, მისი საშუალებით, მაგალითად, სახურავის დათბუნება საჭირო ინვესტიციის 5-6 წელიწადში ამოღებას უზრუნველყოფს.

კამპანია ხორციელდება ევროკავშირის (EU) მიერ დაფინანსებული
“სოფლის განვითარების გაუმჯობესება საქართველოში” (IRDG) პროექტის
ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს გაეროს განვითარების პროგრამა
საქართველოში (UNDP).